"საერთაშორისო გამჭვირვალობა" 2007 წლის "გლობალური კორუფციის ბარომეტრის" შედეგებს აქვეყნებს

- **სასამართლო სისტემა კვლავ ყველაზე კორუმპირებულ სისტემად დასახელდა, ეკლესია – ყველაზე მაღალი ნდობის მქონე ინსტიტუტად**

სასწრაფოდ გავრცელებისთვის: 29 თებერვალი, 2008 წ.

თბილისი, საქართველო – "საერთაშორისო გამჭვირვალობის" ბერლინის ოფისმა (სამდივნომ), მსოფლიოს წამყვანმა ანტიკორუფციულმა ორგანიზაციამ, "გლობალური კორუფციის ბარომეტრის" შედეგები გამოაქვეყნა. ბარომეტრი აერთიანებს მსოფლიოს სამოც ქვეყანაში გამოკითხული 63 199 რესპონდენტის მოსაზრებებს და იკვლევს მათ დამოკიდებულებას სხვადასხვა სფეროებში კორუფციის გავრცელების დონის, ხელისუფლების მიერ წარმოებული ანტიკორუფციული კამპანიის და კორუფციის შემცირების პერსპექტივის მიმართ.

ამ გამოკითხვის თანახმად, საქართველოში ყველაზე კორუმპირებულ სფეროდ საზოგადოებას, 2005 წლის მსგავსად, სასამართლო მიაჩნია, ყველაზე მაღალი ნდობის მქონე ინსტიტუტედ კი – ისევ ეკლესია. გამოკითხულთა შეფასებით, კორუფციის მხრივ სიტუაცია გაუმჯობესდა ნებართვებისა და ლიცენზიების გაცემის სფეროში. 2005 წელს ეს სფერო ყველაზე კორუმპირებული სფეროების ჩამონათვალში მერვე ადგილზე გავიდა, ხოლო 2007 წელს – მეთერთმეტეზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მან სიაში მდებარეობა სამი საფეხურით გაიუმჯობესა და შედეგად არასამთავრობო სექტორსა და მედიას გადაუსწრო. შედარებით დადებითად შეფასდა საგადასახადო ადმინისტრირების სფეროც. 2005 წელს ის მეხუთე ადგილზე იყო, 2007 წელს კი – მერვეზე.

გაუარესება დაფიქსირდა სამ სფეროში, ესენია: განათლების სისტემა, რომელიც 2005 წელს მეცხრე ადგილზე იყო და 2007 წელს – მეხუთეზე გადაინაცვლა; პოლიცია, რომელიც 2005 წელს მეათე ადგილზე იყო და 2007 წელს – მეექვსეზე გადავიდა და სამედიცინო მომსახურება, რომელიც 2005 წელს მეშვიდე ადგილზე იყო და 2007 წელს – მეოთხეზე აიწია.

კორუფციის გავრცელების დონე

როგორც კვლევით იკვეთება, 2007 წელს, 2005 წელთან შედარებით, საქართველოს მოქალაქეები ნაკლები ოპტიმიზმით უყურებდნენ უახლოესი სამი წლის განმავლობაში კორუფციის დონის შემცირების პერსპექტივას. 2005 წელს გამოკითხულთა 38% ფიქრობდა, რომ მომდევნო სამი წლის განმავლობაში კორუფციის დონე შემცირდებოდა, 2007 წელს მათი რიცხვი 33%-მდე შემცირდა, სამაგიეროდ გაიზარდა იმ რესპონდენტთა რაოდენობა, ვინც თქვა, რომ კორუფციის დონე, პირიქით, გაიზრდებოდა. 2005 წელს ასეთი პასუხი გამოკითხულთა 8%-მა გასცა, 2007 წელს – 20%-მა.

ზოგადად, ბოლო ოთხი წლის მანძილზე ჩატარებული "გლობალური კორუფციის ბარომეტრის" კვლევები ცხადყოფს, რომ შედარებით პესიმისტურად განწყობილ რესპონდენტთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდება, თუმცა მცირედით, ხოლო ოპტიმისტურად განწყობილების – მცირდება.

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

ხელისუფლების ანტიკორუფციული კამპანიის შეფასება

2007 წელს რესპონდენტების 34%-მა ხელისუფლების ანტიკორუფციული კამპანია შეაფასა როგორც ძალიან ეფექტური ან მეტნაკლებად ეფექტური (7%-მა თქვა, რომ ის იყო ძალიან ეფექტური, ხოლო 27%-მა – მეტნაკლებად ეფექტური), 21%-მა უპასუხა, რომ ეს კამპანია არც ეფექტური იყო და არც არაეფექტური და 29%-მა მიიჩნია, რომ ის უფრო ან საერთოდ არაეფექტური იყო (19%-მა თქვა, რომ ის უფრო არაეფექტური იყო, ვიდრე ეფექტური და 10%-მა თქვა, რომ ის ძალიან არაეფექტური იყო). 17%-მა პასუხის გაცემისგან თავი შეიკავა.

კვლევის მეთოდოლოგია

საქართველოში 2007 წლის "გლობალური კორუფციის ბარომეტრის" კვლევა, "საერთაშორისო გამჭვირვალობის" დაკვეთით, კვლევითმა ორგანიზაციამ – "კავკასიის კვლევის რესურს-ცენტრმა" ჩაატარა. კვლევა ჩატარდა პირისპირ ინტერვიუების საფუძველზე. სულ გამოიკითხა 3 041 რესპონდენტი (თვრამეტი წლის და ზევით) 2007 წლის 7 ოქტომბრიდან ამავე წლის 31 ოქტომბრამდე პერიოდში.

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო

,,საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო" წარმოადგენს ,,საერთაშორისო გამჭვირვალობის" ეროვნულ ბიუროს. მისი ოფისი საქართველოში დაარსდა 2000 წლის 7 მაისს. ორგანიზაცია მიზნად ისახავს გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ამაღლების გზით, ქვეყანაში კორუფციის დონის შემცირებას და საქართველოს ძლიერ დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების ხელშეწყობას. ამ მიზნის მისაღწევად ის სწავლობს სხვადასხვა სფეროში კორუფციის გავრცელების დონეებს, მათ გამომწვევ მიზეზებს, ამ მიზეზების აღმოფხვრის მექანიზმებს და შესაბამის რეკომენდაციებს აწვდის ხელისუფლებას და საზოგადოებას.. გარდა ამისა, ,,საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო" საქართველოს მოქალაქეებს აცნობს ახალ საკანონმდებლო ინიციატივებს, კანონებს, დაგეგმილ და მიმდინარე რეფორმებთან დაკავშირებულ სიახლეებს და სხვა მნისჰვნელოვან ინფორმაციას; იკვლევს საერთაშორისო გამოცდილებას იმ საკითხებთან მიმართებაში, რომლებიც დღეს აქტუალურია საქართველოში; ახორციელებს სახელმწიფო სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროგრამების შესრულების მონიტორინგს და ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში, შესაბამის ინფორმაციას აწვდის ხელისუფლებას და მოსახლეობას; ეწევა სხვა საქმიანობას, რომელიც ასევე მიმართულია ქვეყანაში კორუფციის დაძლევისკენ. ,,საერთაშორისო გამჩვირვალობა საქართველო" აქტიურად თანამშრომლობს სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მასმედიის წარმომადგენლებთან, ხელისუფლებასთან და საქართველოს მოქალაქეებთან.

საერთაშორისო გამჭვირვალობა – სამდივნო

,,საერთაშორისო გამჭვირვალობა" არის კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი მსოფლიო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია. მოძრაობა აერთიანებს 90-ზე მეტ ეროვნულ ბიუროს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. მისი მიზანია როგორც ცალკეული ქვეყნების, ასევე საერთაშორისო დონეზე კორუფციის აღმოფხვრა და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა. საერთაშორისო დონეზე ,,საერთაშორისო გამჭვირვალობა" იკვლევს მსოფლიოში კორუფციის გამომწვევ მიზეზებს და მის შედეგებს, და მოუწოდებს პოლიტიკოსებს, მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა შემცირდეს კორუფციის გავლენა და ამ გზით, დაძლეულ იქნას სიღარიბის პრობლემა. ორგანიზაცია ასევე მონაწილეობს

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

საერთაშორისო ანტიკორუფციული კონვენციების შემუშავებასა და მხარეების მიერ მათი შესრულების მონიტორინგში. ცალკეული ქვეყნების დონეზე „ საერთაშორისო გამჭვირვალობა“ საქმიანობს ეროვნული ბიუროების საშუალებით. ეროვნული ბიუროები იკვლევენ კორუფციასთან დაკავშირებულ პრობლემებს ქვეყნის შიგნით და შეიმუშავებენ რეკომენდაციებს, რომლებიც მიმართულია ანტიკორუფციული ინსტიტუტების გაძლიერების და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების როლის გაზრდისკენ.

„კორუფციის აღქმის ინდექსისა“ და „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ სხვა კვლევების შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად ეწვიეთ ვებ-გვერდს: www.transparency.ge

პრესასთან საკონტაქტო პირი: ნანა ლობჟანიძე
(995 32) 921403
nana@transparency.ge

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge